განკარგულება:**გ-63. 632335928**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს თავი მე-3, მუხლი 16-ე, პუნქტი მე-2 „ტ" ქვეპუნქტი თავი მე-4, მუხლი 24, პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2024 წლის შემოსავლების და ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2024 წლის პროგრამა. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2024 წლის შემოსავლები. (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2024 წლის ხარჯი. (დანართი N 3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი. (დანართი N 4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2024 წლის საკვების განაწილება თვეების მიხედვით. (დანართი N 5)

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი'' -ს 2024 წლის პროგრამა

სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი არის ერთადერთი საცხენოსნო სპორტული კლუბი იმერეთის რეგიონში, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შენარჩუნებული იქნას ცხენოსნობის უძველესი ეროვნული სახეობები მოსახლეობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

მიზანი:

გაიზარდოს ახალგაზრდობაში ინტერესი აღნიშნული სპორტის მიმართ. დაფინანსების შემთხვევაში აღვზარდოთ ბევრი ცხენოსანი ახალგაზრდა სპორტსმენი, ჩატარდეს მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებები, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი, როგორც წინა წლებში.

ცხენზე ჯდომა საუკეთესოა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აქვთ ორთოპედიული დაავადებები. ექიმის რჩევის შემთხვევაში შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ იმ ადამიანებს, რომლებიც საჭიროებენ ამ დახმარებას.

კლუბის ამოცანა:

შეჯიბრებების ჩატარება,მაქსიმალური შედეგის მიღწევა.შეჯიბრებებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მამაკაცები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

1. ცხენოსნობის ქართული ეროვნული სახეობების პოპულარიზაცია.
2. უფრო მეტი ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა ცხენოსნობაში.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მაქსიმალური შედეგის მიღწევა აღნიშნული სპორტის სახეობებში.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2024 წლის შემოსავლების გეგმა

შემოსავლების დასახელება	**თანხა** (ათასი ლარი)
სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	154.40
სულ ჯამი	**154.40**

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2024 წლის ხარჯების გეგმა

(ათასი ლარი)

ეკ. კლას. კოდი	**ორგანიზაციული კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი**	**სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან**	**2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები**	**2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები**
	05 01	**ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიპალიტეტის**			

	02 01	**საცხენოსნო სპორტული კლუბი**	**154.40**	**154.40**	**0.00**
		მომუშავეთა რიცხოვნობა	**14**	**14**	
2		**ხარჯები**	**154.40**	**154.40**	**0.00**
2.1		**შრომის ანაზღაურება**	**74.70**	**74.70**	**0.00**
2.2		**საქონელი და მომსახურება**	**79.70**	**79.70**	**0.00**

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს

2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

#	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასისი სუბსიდიით 1 თვის ერთ ერთეულზე	სახელფასო ფონდი 1 თვის	წლიური სახელფასო ფონდი
1	დირექტორი	1	880	880	10560
2	ბუღალტერი	1	440	440	5280
3	მთავარი მწვრთნელი	1	424	424	5088
4	სამეურნეო საკითხების ორგანიზატორი	1	413	413	4956
5	მწვრთნელი	2	402	804	9648
6	მეჯინიბე	3	402	1206	14472
7	მჭედელი (ნალბანდი)	1	363	363	4356
8	ვეტ-ექიმი	1	402	402	4824
9	მეეზოვე დამლაგებელი	1	402	402	4824
10	მოადგილე უსაფრთხოების დარგში	1	424	424	5088
11	გამწვრთნელი მხედარი ჟოკეი	1	462	462	5544
	სულ ჯამი	14	**5014**	**6220**	**74640**

დანართი N5

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	განზომილება	განზომილება	სავარაუდო ღირებულება
ცხენების რაოდენობა	17	17	17	17	17	17	17	17	17	17	17	17	კილოგრამი	თივა - შეკვრა ქერი-კილოგრამი	ლარი
თივის რაოდენობა ერთ ცხენზე (1 დღე 6-7 კგ*31=119კგ)	3162	2856	3162	3570	3689	3060	3689	3689	3570	3162	3060	3689	40358	40358	24214
ქერის რაოდენობა ერთ ცხენზე (1 დღე 6-7 კგ*31=119კგ)	3162	2856	3162	3570	3689	3060	3689	3689	3060	3162	3060	3689	39848	39848	35863
ჯამი															60077

შენიშვნა: ერთ ცხენზე დღეში ქერის მინიმალური რაციონი უნდა იყოს არანაკლებ 6 კილოგრამისა, დატვირთვის შემთხვევაში შესაძლებელია დღეში მიეცის 10 კილოგრამამდე.

შენიშვნა: ერთ ცხენზე დღეში თივის მინიმალური რაციონი უნდა იყოს არანაკლებ 6 კილოგრამისა, დატვირთვის შემთხვევაში შესაძლებელია დღეში მიეცის 10 კილოგრამამდე.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი